

572
1960/3

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

188 27



1108

საბავშვო ჟურნალი
საქართველოს
საბავშვო ჟურნალი


დედა

«დედა! ბიწვი ქაყნა,
იღებე, იფარე შიშვეს,
და ზრე, ჭირველი, სწავლის
ხაზი-ხედი კახანდა!»

№ 11

საბავშვო ჟურნალის გამომცემი საბავშვო გამომცემლობა
3. თ. ლავინის სახელობის შრომის პირველი
ორგანიზაციის რედაქციური სახლი თბილისი

გამომცემი
1960



ბ

ვენი ქვეყანა ყველაზე მდიდარი. ბედნიერი ქვეყანაა. აქ ყველაფერი—ფაბრიკა-ქარხნები, მთები და ველები, ტყეები და მდინარეები ხალხს ეკუთვნის.

ყოველთვის როდი ცხოვრობდა ჩვენი ხალხი ასე. წინათ ქვეყნის ბატონ-პატრონები მეფე, მემამულეები და მდიდარი კაპიტალისტები იყვნენ. ხალხი შიმშილსა და გაჭირვებაში ცხოვრობდა. ღარიბების შვილებს სწავლის საშუალება არ ჰქონდათ, მშრომელთა მთელი შემოსავალი მემამულეებსა და კაპიტალისტებს მიჰქონდათ.

მაგრამ ხალხს გამოუჩნდნენ მამაცი და გონიერი ქომავლები—კომუნისტები. ლენინის მეთაურობით მათ დააარსეს კომუნისტური პარტია. მეფე სდევნიდა კომუნისტებს. მაგ-

რამ ისინი არ შეუშინდნენ არც სიკვდილს, არც ციხეს და ხან ფარულად, ხან აშკარად ამხედრებდნენ ხალხს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

და აი, 1917 წლის 7 ნოემბერს (ძველი სტილით 25 ოქტომბერს) დაიწყო დიდი ოქტომბრის რევოლუცია. მთელი ხალხი აღსდგა იარაღით ხელში თავისუფლების, სიმართლის, ბედნიერების მოსაპოვებლად. შეშინებული მეფის მთავრობა ზამთრის სასახლეში ჩაიკეტა.

დახედე ამ სურათს. აქ დახატულია, როგორ აიღეს პეტროგრადში (ახლანდელ ლენინგრადში) ზამთრის სასახლე რევოლუციონერებმა. მას აქეთ გავიდა 43 წელი, მაგრამ იმ დღეს ხალხი არასოდეს დაივიწყებს.



ეს კი რევოლუციური კრესიერი „ავრო-რაა“. მისმა ზარბაზნის გრიალმა შესძრა ზამთრის სასახლის კედლები. ბოლშევიკები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, მუშები ტყვიამფრქვევებითა და წითელი დროშებით მიადგნენ ზამთრის სასახლეს და აიღეს კიდევ ზამთრის სასახლეზე წითელი დროშა აფრიალდა.

რევოლუციონერების მთავარი შტაბი სმოლნის შენობაში იმყოფებოდა. აქედან ხელმძღვანელობდა ლენინი რევოლუციას. დღეღამ იღვნენ სასახლის წინ შეიარაღებული რაზმები და კოკონები გიზგიზებდნენ.

გაიმარჯვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. ხალხმა ხელთ იგდო ძალაუფ-



ლება და შეუდგა ახალი, ბენდიერი ცხოვრების აშენებას. ძალიან ძნელი იყო ომით დანგრეულ, მტრებით გარშემორტყმულ ქვეყანაში ახალი ცხოვრების აშენება, მაგრამ საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, მიდიოდა ლენინური გზით წინ—ბენდიერებისაკენ.

დღეს ჩვენი ქვეყანა ყველაზე ძლიერია. ის მტკიცედ დგას მშვიდობის საგუშაგოზე. საბჭოთა ხალხი გაბედულად აშენებს კომუნისტების ნათელ მომავალს.

რუსულიდან თარგმნა რ. ქეზულაძემ
ნახატები ვ. შირაძემ



ზრდილობიანი სკუპარი

მ. თომასი

ნახატები ლ. დანელიანი

გზამ მთელი საბავშვო ბაღი შესძრა: — დეიდა დაროს ფერმაში თეთრი ხბო ჰყავსო.

— თეთრი ხბო! თეთრი ხბო! — გაისმა ყოველ კუთხეში ბავშვების ჩურჩული.

— მეც კი მინდა თეთრი ხბო, — ჩამოუარა ასკინკილა მათიკომ.

— მეც მინდა, მეც, — ახმაურდნენ პატარები.

— რა ამბავია, როგორ ფუტკრებივით ახუზუნდით, — გაეშურა მათკენ მასწავლებელი თინა.

— თეთრი ხბო გვინდა ვნახოთ! — შეეხვეწა მათიკო.

მეორე დღეს, დეიდა დარო ფერმაში შევიდა თუ არა, მაშინვე თეთრი ხბოსაკენ გასწია:

— წავიდეთ, საყვარელო! სტუმრად ხარ მიწვეული! ვნახო, რა ყინვარშაქარს მოგართმევენ შენი ახირებული მასპინძლები. როგორ ლამაზად დაუვარცხნიხარ დედაშენს. ბეწვი სულ გიბრწყინავს, მოდი, ხელში ავიყვანო. დაიღლები, ჯერ პატარა ხარ. — დეიდა დარომ ხბო გულზე მიიხუტა და საბავშვო ბაღისაკენ გაუდგა გზას.

ბავშვები ფართო აივანზე ისხდნენ და საუზნეს შევეცქეოდნენ. სულ პირველად მათიკომ მოჰქრა თვალი ხბოს.

— მე ფაფა აღარ მინდა, — თქვა მან და ფეხზე წამოხტა.

— აბა, დაჯექი და დაელოდე, ვიდრე სხვებიც არ მორჩებიან საუზნეს, — შენიშნა მასწავლებელმა.

— მე კი დაველოდები, მაგრამ... იქ რომ თეთრი ხბოა და ჩვენ გველოდება? — ჩაიღამარაჯა ზოგონამ.

ბავშვებმა ყურები ცქციტეს, კისრები წაიგრძელეს და ეზოსაკენ დაიწყეს ცქერა.

— მე ფაფა არ მიყვარს, — თქვა ვასიკომ და თფფი გვერდზე გასწია.

— არც მე მიყვარს ფაფა, არც მე! — გაისმა ყოველი მხრიდან.



თეთრი ხბო კი არხეინად წამოწოლილიყო
კაკლის ქვეშ და დიდრონ შავ თვალებს აბრია-
ლებდა, თითქოს ვილაცას ელოდებოდა.

— ვინც ფაფას ბოლომდე არ გაათავებს,
ეზოში არ გაეუშვება,—წარბები შეიკრა მას-
წაველებელმა.

ბავშვები საუზმეს მიირთმევდნენ, სული
და გული კი ეზოსაკენ გაურბოდათ.

ძლიერივით მორჩნენ საუზმეს და ეი-
ვილ-ხვილით გაიქცნენ კაკლის ხისაკენ. ხბო
მათ დანახვაზე შეკრთა. ნელანელა წამოიწია
და წამოღვა.

— რა ზრდილობიანი ყოფილა, რომ მო-
ველით, ფეხზე აღდა და ისე მოგვესალმა,—
თქვა გიგამ.

— უნდა მოვეფერო,—ხელგაშლილი გა-
ქანდა ნანა.

— დაიკა, დაიკა,—შეაჩერა დეიდა და-
რომ.—ჯერ ყველას უნდა გავაცნოთ თქვენი
სტუმარი—ეს ხბო, სულ ერთი თვე არც კია,
რაც გაჩნდა. ჩვენ მას თერთა დავარქვით.
ღედა ძუძუს აწოვებს. მე დილა-საღამოს სუფ-



ალბრელს

ი. შანიშვილი

თუ ბავშვების სიყვარულმა
მე გამხადა ფაქიზ მგონხად,
შენ სხვა კუთხით ნორჩ თაობას
ემსახურე ჰატიოსხნად.
მერსებიდან გაისმოდა
შენი სიტყვა გამეივარი,
რომ გაგმეო ბავშვის სულის
უოველგვარი სატყეივარი.
ოცდაათი წელიწადი
გაატარე ასე წმინდად
და ნაუოფიც სომ შიომევე,—
სხვა რა გინდა? სხვა რა გინდა?
გადასუდე შენს გაზრდილებს,
შეჟლა ლხენით შემოტყეირის—
რიგი გლოცავს, რიგი გაქებს,
რიგი ცეკვავს, რიგი მღერის.
ღღეს დიდებიც მოკახსინა:
საუკარულო, გაისარე;
ანასოდეს დაგვიწუებს
მაღლიერი ჩვენი მხარე!

თა ბალახს მივართმევ ხოლმე და გემრიელად
ახრამუნებს. ღედა ყოველ ღღე ასუფთავებს,
სულ ენითა სწმენდავს. მეც ვასუფთავებ. იმი-
ტომ არის გაკრიალღებული. ცოტა ხანს თქვენ-
თან დავტოვებ, მხოლოდ იცოდეთ, არ შეა-
წუხოთ.

მთელი ღღე თავს ევლებოდნენ ბავშვები
ხბოს. ზოგი თერთას ემხნდა, ზოგი ირმას,
ზოგიც ბოჩოლას.

— ალბათ უკვე მოვიღე თერთას,—წა-
მოიძახა მათიკომ, საღდაც გაქრა და ცოტა

ხანს შემდეგ მთლად ამოწურულმა სველი ბალახით მოირბინა.

— აჰა, მიირთვი სუფთა ბალახი,—უთხრა მან სტუმარს.

— ეგ რა მოგველია, სად დასველდი?—უსაყვედურა მასწავლებელმა.

— ბალახი გავრცხე.

— ბალახის გარეცხვა ახლა გავიგე,—გაიციანა მოხუცმა მებაღემ.

— დეიდა დარომ თქვა, რომ თეთრას სუფთა ბალახი უყვარსო,—სხაპასხუპით მიუგო მათიკომ.

თეთრამ დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი გოგონა, ნელნელა წამოიწია და ფეხზე ადგა. მათიკომ ყელზე ხელები მოხვია და მოფერა:

— რა კარგი ხარ, თეთრა. მე შენზე უფროსი რომ ვარ, ამიტომ ადექი, არა? ისევ წამოწევი, დაისვენე. მე არ მეწყინება.—უჩურჩულებდა გოგონა.

— დეიდა თინა, რა ზრდილობიანია ჩვენი სტუმარი. როგორც კი მასთან ვინმე მივა, მაშინვე ფეხზე წამოდგება და ისე ესალმება ხოლმე!—მიიხარა მასწავლებელს გიგამ.



ბატის ქუჩი ნაჭუჭიდან ძლიერძვივობით გამოძვრა. ყვეთელი ღინღლი ჯერ ისევ სველი ჰქონდა, კისერი მოღრეცილი. გარშემო სულ ოქროსფერი წიწილები წივწივებდნენ. ის წიწილებს მიეხუტა. კარგად გამოშრა, თვითონაც ოქროსფრად შეიღინღლა და გალამაზდა.

ღილით ინკუბატორის კარი გოგონამ გააღო. წიწილებს ფეტვის მარცვლი დაუყარა. ბატის ქუჩიც წასწვდა საყენეს, მაგრამ მაინც და მაინც დიდად არ ესიამოვნა და მოიწყინა.

— ასე რატომ აიბუზე?—მიუალერსა ბატის ქუჩს გოგონამ,—მე ვიცი, შენ რაც გე-

სიამოვნება!—ეზოში გაიყვანა და მოლზე დასვა. ქუჩი ყველაზე გრძელ ბალახს წასწვდა, მოქაჩა და მოქაჩა. ბალახი შიგ ძირში მოსწვდა. ქუჩი უკუდმა გადაყირავდა და პირში ბალახგამოჩრილი მინდორზე გადაკოტრიალდა.

— ოჰო, კოტრიალა, კოტრიალა, გაეცინა გოგონას. ქუჩი ხელში აიყვანა, პირში გაჩრილი ბალახი ამოუღო და ისევ მოლზე დასვა.

ქუჩმა თვალელები დააცეცა პატარა სამყურა ბალახს წასწვდა, უცბად მოწყვიტა და ხარბად შეყლაპა.

საუბან აკლუნალი

უამოდგომა

შემოდგომა მოვიდა,
ხეს ფოთოლი გასცვივდა,
გარეთ ქარი ზუზუნებს,
გაწვიმდა და აცივდა.
მაგრამ უკვირს ციციწოს, —
ხეს, წიგნში რომ ჰხატია,
ნეტავ მწვანე ფოთლები
რატომ არ დაფანტვია?!

აბრეშუმის ჭია

— თქვე, რად გინდა, დედიკო,
აბრეშუმის ჭია?
ანდა თუთის ფოთლები
მასთან რატომ ყრია?!
— შენ რომ კაბა გაცვია, —
ეგდამ უთხრა ღაღის, —
ამ პატარა ჭიების
აბრეშუმი არის!

ნახატი ვახვანდ ჯაფარიძისა



დიდი ოჯახი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

უ ახალ ქუთაისს ვწვევით, უამრავ საინტერესო სანახავს შეხვდებით: საავტომობილო ქარხანას, ახალ ქუჩებსა და ბაღებს. სადგურის უკან ოთხსართულიანი დიდი შენობა რომ მოჩანს, ეს პირველი სკოლა-ინტერნატია; მისი გზო, ყვეაილებითა და მწვანე ნარგავებით ხალიჩასავით მოუქარავთ ბავშვებს. აქ სტუმარი ძალიან უყვართ. მიხვალთ და გულლიად დაგიხვდებიან მასპინძლები. ეს პატარების დიდი მეგობრული ოჯახია; ბავშვები აქვე ცხოვრობენ, სწავლობენ, შრომობენ და ერთობიან.

— პირველად რომ მოვედით, მოტიტყლებული გზო დაგვხვდა,—აგვისსნა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა დოდომ და ახალმოსულეთს მთელი გზო შემოგვატარა.

— ახლა კი რამდენი მწვანე ნარგავია?!

— ეს ჩვენი დარგულია, დაითვალეთ, იმდენივეა, რამდენიც ჩვენა ვართ სკოლა-ინტერნატში... ორასამდე იქნება! მხოლოდ სამი ნერგოლა აკლია, ახლა თქვენ სახელზე უნდა ჩარგოთ,—გვითხრა პიონერმა მარინემ.

ძია დიმიტრიმ ნერგები მოგვცა, მარინემ ბარები მოარბენინა, სამივე იქ მოვეგროვდით და მე, ავთანდილმა და ზურაბმა სამი ჩინარი ჩავრგეთ. ჩვენი ნერგები ყველაზე პატარები მოჩანდნენ.

— თქვენს დარგულს ზრუნვას არ მოვაკლებთ, მალე გაიზრდებიან. ახალმოსულების პირველ დღეს ყოველთვის ასე აღვნიშნავთ ხოლმე, ეს ჩვენ მოგიფიქრეთ!—გვითხრეს სკოლა-ინტერნატში სულ პირველად მისულმა გოგამ და ნუგზარმა და ყველაზე მაღალ ალვის ხეებზე მივივითოთეს.

მალე ოქტომბრელთა დიდი ზეიმი ეწყობა და ვარსკვლავებს შორის კონკურსია გამოცხადებული.

ვინ გაიმარჯვებს!—აი, ეს აღელვებდათ გოგონებს და საუბარი საწოლ ოთახშიც გახადრძეს. გამარჯვება ყველას სურდა.

ძიძას შემოსვლაზე გოგონები მიყუჩდნენ. დეილა თინამ ზღაპარი დაიწყო. ძილის წინ ჩვეულებრივ რაიმე საინტერესოს უამბობს ხოლმე თავის შვილობილებს და საუბარში ჩაქინებთ კიდევ, მაგრამ მანანა ლოგინშიც ვერ ისვენებდა:

— დეილა თინა, საიღუმლო უნდა გავანდოლო!—უთხრა ძიძას, როდესაც ყველას ჩაქინა.—ტანსაცმელების შეკერვა გვინდა, აი, ისეთი, ზღაპრების გმირებს რომ აცვიოთ, დახატავთ კიდევ!

დეილა თინა დახმარებას დაპირდა. იმ დღიდან მანანას ვარსკვლავი საიდუმლო ფუსფუსში იყო, მაგრამ ზეიმისათვის ვანა მარტო ამ ვარსკვლავის ოქტომბრელები ემზადებოდნენ? მათ გარდა თავისი საიდუმლო თექვსმეტ ვარსკვლავსაც ჰქონდა.

და აი, ზეიმის დღევ დადგა. საღამოს





ელნათურებით გაჩაღდა იქაურობა. დერფენისა და კლუბის კედლები თავისი ნამუშევრებით დაემშვენებინათ ოქტომბრელებს. ერთ კედელზე ნახატები ეკიდა: ნაცარქექია ვეებერთელა დევს წამოეკიდა და წყალგაღმა გაჰყავდა; აქეთ კიდევ ნაცარქექ-

ქის მუცელზე კეცი დასცემოდა! ეს მანანას ვარსკვლავის ოქტომბრელებს დაეხატათ ახლა თვითონ მათ არ იკითხავენ? ყველაზნი შეცნაურად მორთულიყვნენ, დევების ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები სასაცილოდ დაბაჯბაჯებდნენ.

— ეს „ნატურისთვალისა“ა, ეს „თვალჩიტა“ა, ეს კი, „შეხედე, „შენახირეა“,—ცნობდნენ ბავშვები.

— როლის ვააკეთეს, არც კი ვაგვივია,— უკვირდათ დანარჩენებს.

რაზმეულის საბჭომ მანანას ვარსკვლავი სიგელით დააჯილდოვა.

ვახარებულმა გოგონებმა დეიდა თინასაკენ მოჰკურცხლეს.

— ჩვენ ვავიმარჯვეთო,—ახარეს მათი საიდუმლოს შემნახავს.

— გეგუთისაკენ მივდივართ! — იძახდნენ სამუშაო ხალათებში ჩაცმული ბავშვები კვირა დღისას.


— გეგუთისაკენ! —მღეროდნენ უკვე მანქანაზე შესკუბებული ბიჭები. გზა სიმღერით გაიარეს. გეგუთში ჩასვლისას მანქანა დიდ ქიშკართან შეჩერდა; ქიშკარზე მიკრულ აბრას ასე ეწერა: „ქუთაისის პირველი სკოლა-ინტერნატის მეურნეობა“.

ბავშვებმა მთელი დღე გეგუთში გაატარეს. ბოსლები და საქათმეები დაასუფთავეს, საქონელს და ფრინველს მიხედეს. ჭყვიტინა გოჭებიც კი დაბანეს.

— გამარჯვე ყმაწვილები ხართ,—შეაქო ძია დიმიტრი ბავშვები.

გეგუთში ბავშვებს ძალიან დიდი მეურნეობა აქეთ და ვისაც რა ემარჯვება, იმ საქმეს აკეთებს. იქ მათ პატარა თოხებიცა აქეთ და ურემიც. თოხებით კვლები გაჰყავთ ბოსტანში, მცენარეებს მარგლიან, ბალახბულახს აცლიან, ურმით კი შემოდგომის ჭირნახულს ფარდულისაკენ ეზიდებიან, რომელიც შემდეგ მანქანებით სკოლა-ინტერნატში გადააქვთ.

კვირა დღე სიხარულის დღეა მათთვის, რადგანაც ძალიან უყვართ ბაღებში განავარდნა, ცხოველთა მოვლა და მოყვრებაც.



ლევ ტოლსტოი დიდი რუსი მწერალია. ტოლსტოის ძალიან უყვარდა ბავშვები. მან ბევრი შესანიშნავი ზღაპარი და მოთხრობა დაწერა თქვენთვის.

ლევ ტოლსტოი



ანია ჯირკს შე-
მოსატა,—ჩემი ბე-
დაური ეს არისო-
არც მათრახი და-
ვიწეობა, უტელა-
შუნებდა ჯირკს და
მიაგულვებდა.





სტიას საშონი
 მისცეს,—სელ-პირი
 და კისერი დაი-
 ბანეო. დაიბანა
 სელ-პირი და კისე-
 რი კატამ, სულ
 კრიბლი გაჰქონდა!



რუშას არ ჰქონდა დედოფალა.

მან აიღო თივა,
 მოგრისა თივისა-
 გან სელეური და
 ეს იყო მისი თო-
 ჯინა. ამ თოჯინას
 მამო დარქვა, აი-
 უვანა სელში მამო
 და დაუქვავა: „დაი-
 მინე, გენაცვა, ნანა
 ნანიანო“.





მამაპლა მრავლიპვილი

წურთ ტირის:—ეიორ-ლი, ეიორ-ლი,
ცალი ფრთა მაქვს მოტყენილი...

თოფლს ჩამოურის სდაც არი,
ზამთარს ველარ გაუხსწარი.

თბილ ქვეყნებში, წილ-წილ,
როდის უნდა ჩავადწიო?!

ჭანჭიკელა იქვე გაჩნდა:
— ადვილია სამსახური,
ოღონდ ისევ დაგვიბრუნდი,
როცა მოვა გასაფხული.



კული

ერთმანეთი

ირას ზვლიკი შეებრდა
და აეცხო ცრემლით თვალი,
თქვა: „უპ, ეს რა მომივიდა,
საკლავი ხომ მოგვადი?“
ბიჭს აღმზრდელმა ნინომ უთხრა:
— ზვლიკი ნულარ გვლვება:
წაწყვეტილი კულის ნაცვლად
მას ახალი გაყრდება.

თქვა:— ზვლიკი რომ ახლს იყოს,
მაშინ უფრო კარგად ვნახავ,
როგორი აქვს თავი, ფეხი! —
და დაჭერა განიზრახა.
მიეპარა, სტაცა ხელი,
მაგრამ ბიჭი დარჩა სახტლად:
ხელში შეერჩა ზვლიკის კული,
ზვლიკი მოსწყდა, განზე გახტა
და მოკურცხდა... პატარებმა
დაუქნიეს თეთრი ქული,
მიძახეს:—სად გარბიხარ,
კული დავჩჩა, კული, კული!


ილია სინაპლიძე

ერთხელ ჩვენი პატარები
სასეირნოდ წაიყვანეს,
მოიარეს არემარე,
მინდორი და ვეღი მწვანე.
ირამ ზვლიკი დაინახა,
მოუწონა ცქვიტი, მარდი,
დაუკვირდა, გაუკვირდა,
რომ ქარივით სწრაფად დარბის;



მედიკოსი

ჩრდილები



— ეს ჩრდილების თეატრია! —
 მაცურებელს ართობს გია.
 — მოიხედეთ აბა აქეთ,
 ახლა კურღლეს დაგანახებთ! —
 ჯერ ასეთი წარმოდგენა
 არ ენახათ ბავშვებს არსად.
 გიამ უცებ ხელის ჩრდილი
 ნამდვიდ კურღლეს დაამსგავსა.
 ახმაურდნენ მნახველები,
 უციმციმებთ პირისახე.

სთხოვეს გიას: — აბა, ერთი,
 ცუგრა ძალიც დაგვანახე! —
 და როდესაც თეთრ კეფელზე
 ამოდრავდა ჩრდილი ძაღლის,
 პატარებმა ჟრიაშულით
 გააყურეს მთელი სახლი.
 მხოლოდ ცუგრა გადიგულდა,
 აუტუნა ბავშვებს დაე:
 — მე თეთრი ვარ! ავ-ავ-ავ-ავ!
 იმ შავტუნას არა ვგავარ!

ჟიკაუძი

პის წყალს ასმევს მეგობრებს
 გრძელკისერა ჟირაფი.
 ოწინარი რად უნდა,
 კისრით იღებს პირდაპირ!



მოჭარაკე

ვერ გავიგე, რა მოხდა,
 ხმას რად არ მცემს ზურა?!
 ჭარაკი რომ მოვუფე,
 მიტომ დამემღურა?





ნახატები პლ. აგბოქაძისა

მოჯაბაგირო

დ. ხშილაშვილი
(ძველი აზნაფი)

ზაფხულის ერთ საღამოს ბატონმა მოჯაბაგირომ დაიბარა და უთხრა:
— ბიჭო, სვალ ქალაქში უნდა წახვიდე!— ის კი აღარ გაახსენდა, უთქვა, რისთვის ეზავნიდა ქალაქში. მოჯაბაგირომ კერ გაუბუღა კითხვა და გაღწევიტო, ნამდვილად ჩუქნის ნაცნობ გუბართან მკვანის, შიგულ იმასთან და იმას უვლიანება, თუ რისთვის გამომეზავუნა ბატონმაო.

შოდა, ჩავიდა მოჯაბაგირო ქალაქში და ნაცნობ გუბართან მივიდა.
— რაო, ბიჭო, რა დავაბარა შენმა ბატონმა?— ჰკითხა გუბარმა.

— არ ვიცი, შენი ჰიროსე, გამომეზავუნა კია და, თუ რისთვის მკვანნიდა, არ უთქვამს.

— ჰოო, ვიცი, ვიცი, რაც ენდობება, — თქვა გუბარმა და ორი ფუთი ქვაბარილი აჭვიდა სურკზე მოუფიქრებულ და საწულ მოჯაბაგიროს, რომელმაც სამოციოდე კილომეტრი ფუთით უნდა გავლთო სახლამდე!



ბულბული და მელა

ზღაპარი

მაცუნცულებს გზაზე მელა,
ფაფუკი აქვს მელას კუდი,
ნაბიჯები შეანელა,
იქნებ რამე იგრძნო ეკუდი?
მოიხედა ტყის ნაპირას
ბულბული ზის ტოტზე ფრთხილი,
ზე ყვავილით დაპენტილა
და ბულბულის მოძახილი
ეფინება არეშარეს,
მოჩუხჩუხებს ნაკადული,
მზე კი თვალებს აბრიალებს,
ძალაშია გაზაფხული!
უცბათ შედგა ერთი წუთით,
გაისუდრა გზაზე მელა,
სველ მიწაზე დადო კუდი
და კისერი წაივრძელა.
მშიერია, რა ქნას მელამ,
ნაკვერცხლებად უკრთის თვალი,
ნერწყვით ჩაიგემრიელა,
პირი ცეცხლით დასაწვავი!
ეშმაკურად მიცუნცულდა,
თითქოს კუდიც მოიშველა,
ბულბულის წინ აჩურჩულდა,
სანთელივით დადნა მელა:
— გამარჯობა, საყვარელო,
ვერც კი ვიცან შენი სახე,
გადავლახე მთა და მდელიო,
მსურდა ახლოს დამენახე.
ჩამოფრინდი, ერთადერთო,
აქვე, ჩემთან იყავ ახლო,




მსურს შენს თვალში ჩავიხედო
და ქვეყანა დავინახო!
— შე ისედაც თავს ვგრძნობ

კარგად,

მაქანავებს ტოტი ნელა,
რამე ხომ არ დაგეკარგა,
რისთვის მოხველ, ჩემო მელა!—
ერთი წამით შეცბა მელა,
ეშმაკურად ჩაახველა:
— ამ წანწალმა მომიხელა,
ვლებტები მარტოხელა!
იღბით მომკლავს მტრების შიში,
ყველგან თოფით დამდეგს მწყემსი,
ძალიერ მავლებს გასაპირში,
უპატრონოდ ტყეში ცვენესი!

როცა მივალ საქათმესთან
მთელი ტანი მიცხცახებს,
იქნებ მტერი დანას ლესავს,
იქნებ მიგებს მტერი მახეს.
სულ ვტრიალებ, სულ ვწანწალებ,
ჩემთვის დღისით დგება ღამე,
მულამ ტანში მაკანკალებს,
მულამ ვიღაც მითვალთვალებს!
თოფით მსდევენ კლდე და ღრეში,
ეკლებით ვარ დაკაწრული,
სისხლი მდის და ჩუმად ვცენეში,
სირბილისგან დაქანცული.
ხან საქათმის კარებს ვკოცნი,
მაგრამ არვინ მაიმედებს,
მათთვის მულამ ქათმის ხორცი,—
ძვლებს ჩემთვის ვინ გაიმეტებს,
ხან ქარივით დავჭერი მალი,
გაქირვება ბევრი ვძლიერ,



ეს ხომ იცი, რომ მამლარი ვერ გუგუებს გუმანს მშვიერს! შენ კი ცხოვრობ თავისუფლად, მზე ანათებს შენთვის მწველად, ყვავილებს ჰაერს სუნთქავ უშრომლად და უღარდელად. შენ შიმშილის არ გაქვს დარდო, შენ არ იცი რაა შიში, ყვავილი და მხოლოდ ვარდი, იმყოფები მუდამ ლხინში.

„ვასარადას“ ტბილად მღერი, უღარდელად ნაბავ თვალებს, იმ დღიდან ხარ ბედნიერი, რაც სიმღერა შეისწავლე, გვედრები, მეც მასწავლე, ნუ გამბან გულში დარდად, მეც მასწავლე, გენაცვალე, შენებური „ვასარადა“.

წამოვიწუებ მეც შენსავით, შევიქმნები მეც ხმა ტბილი; ყველა ახლო ნათესავი რომ მოგხიბლო მოძინილით.— მგალობელი აქლურტულდა, ტოტს ნისკარტი დაჰკრა ნელა, ფთოა მიიკრა უცბად გულთან, მელას ასე მოახსენა:

— ებიერო და გაიფერავ, ხეტიალობ მარტოდ-მარტო, ოთხი ფეხით ტყე-ღრეს სერავ, ახლა ჩიტის ფრთებსაც ნატრობ! დავიფარავ ბეწვით ტყავი, გვეს სიცივის საფარადა, ახლა ნატრობ; საცოდავო, შემოსძახო „ვასარადა“.

მომეც სიტყვა, თუ მოიშლი მტრობას ქათმის, მტრობას მამლის, არ ჩაგადებ ვასაქირში და სიმღერას შეგასწავლი.

— ხელს არ ვახლებ ქათმებს, მამლებს,— შეაპარა მელამ ნელა, „ვასარადა“ შემასწავლე,— ეფიცება ბულბულს მელა.

— თუ ასეა, აბა, სმენა! მოეშაადე, ჩემო მელა, ურადლებ! ვიწუებ სტვენას!— უცბად მელამ ჩაახველა...

შეფრთხილდა ტოტზე ჩიტი, შემოსძახა: დელი-დელი. ჰაი, გიდი, ჰაი, გიდი,— ჩიტი ფრენს და მისდევს მელა. მიქრის ლალი მგალობელი, უკვე გაჩნდა უღრან ტყეში.

— ღმერთი იყოს მწყალობელი,— დაქანცული მელა ხვენების. კვლავ კვალდაკვალ მისდევს მელა! — ნელა, ჩიტო, ნელა, ნელა! — აგერ უკვე მდინარეა, აქოჩრილი ტალღა ლელავს. დაიღალა, რა ქნას მელამ.

აგერ უკვე სოფელია, ბედელია ვებერთელა და ქათმები ბელის ირგვლივ ია-ვარდად მოფენია! მგალობელმა უცხო ხმაზე შემოსძახა „ტი-ა—ტი-ა!“ ჩვენს ენაზე ითქმის ასე:

— ლამაზია, დი-ა—დი-ა! — აიხედა მელამ მაღლა, ეხარბება, სხვა რომ მღერის, ფიქრობს, ფიქრობს, რა ქნას ახლა, ჩაიწმინდა ნერწყვით ყელი.

ხმა აღმოხდა საცოდავად, მზგრამ აღარ გაათავა:

— იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა, იუ-ა-ვა... — საიდანაც ამ ვერილზე გაჩნდა სოფლის ყველა ძაღლი, აკველა საწყალ მელას მისდევს, ყველა მისდევს მელას დალილს. მელა სწრაფად შემობრუნდა ბარდებსა და ეკლებს შუა, ეშმაკურად წაცუნცულად და მდევრები მოატყუა.

ტყის ნაპირას შედგა მელა. კვლავ ბულბული ტოტზე ვალობს, მზეც შუქს აფრქვევს ხვავრიელად ამა ქვეყნის სამოწყალოდ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

აფხაზურიდან თარგმნა
რემპაზ მარბიანმა

ნახატები შ. მხაბაძის





ვერცხველი

ნახტი ვახვანა ჯაფარიძისა

ყდის მხატვრობა ცუთენის გიორგი რქინივილი

ოდებტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეჯია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მ. ახვალა შრეგლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ა. სიხარულიძე, ნ. უნაჭოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბარცაიის ოცლამიკაბიძე ფლი უსი შ მან.

ტმ: რედაქტორი ი. არღიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

„ნაქაფლი“, რედაქციის მისამართი: იბაღის, მღვანის პოსტ. 51, ტელ. 3-37-38. კაბიკე უკმ, № 463, სტამბის უკმ, № 2214 ტაიკი 21590 ხელმოწერილია ლსაბეძეადად 25/VIII 1960 წ. ფარკლი დაქებლია უბი-იბეტიტუ ბეჭეფის ფარკიკაიე
Д. И. Л. — «Сельскохозяйственный журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. П. И. Левина»